მოქმედ არმიაში ჩასულისთანავე კუტუზოვი მტერთან გენერალური ბრძოლის გამართვისათვის ხელსაყრელი პოზიციის შერჩევას შეუდგა. ასეთი პოზიცია შერჩეულ იქნა სოფელ ბოროდინოსთან, სადაც 1812 წლის 26 აგვისტოს (ახალი სტილით 7 სექტემბერს) რუსთა და ფრანგთა ძირითადი ძალები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეჯახნენ. ბრძოლა ადრე დილიდან დღის ბოლომდე გრძელდებოდა. ფრანგებმა თერმიტგზის მიიტანეს იერიში მარტო იმ უბანზე, რომელსაც პეტრე ბაგრატიონი სარდლობდა. ეს იყო ბოროდინოს ბრძოლის ყველაზე საშიში და გადამწყვეტი უბანი. ბაგრატიონმა იგი შეინარჩუნა, ვიდრე სასიკვდილოდ დაჭრილი ბრძოლის ველიდან არ გაიყვანეს. ფრანგებმა მთელი დღის ბრძოლით მხოლოდ ნახევარი კილომეტრით წაიწიეს წინ ზოგ უბანზე, მაგრამ ბოლოს ადრინდელ პოზიციებს დაუბრუნდნენ. დიდი იყო ნაპოლეონის არმიის ზარალი. მის რიგებს გამოაკლდა 58.000 მოკლული და დაჭრილი მეომარი, მათ შორის 47 გენერალი.

ფრანგული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფია, რომელიც ნაპოლეონის მარცხს მხოლოდ რუსეთის სუსხიანი ჰაეროთ ხსნიდა, ბოროდინოს ბრძოლას ნაპოლეონის გამარჯვებად აღიარებდა. სინამდვილეში ბოროდინოსთან რუსებმა გაიმარჯვეს. კუტუზოვის სტრატეგიულ გეგმაში ბოროდინო უმნიშვნელოვანესი რგოლი აღმოჩნდა. ნაპოლეონის სტრატეგიულმა გეგმამ კი, რომელიც გულისხმობდა მტრის გასაოგნებელ პირველსავე გენერალურ ბრძოლაში და მისთვის სასურველი ზავის მოპოვებას, ბოროდინოსთან სასტიკი იმედგაცრუება განიცადა. რუსებმა ამ ბრძოლაში გაიკამტეერეს მთი ნაპოლეონის არმიის უძლეველობისა, სისხლისაგან დაწრეტეს მისი არმია, გადაამტვრიეს მისი ძლიერების ხერხემალი.

ბოროდინოსთან რუსეთის არმიის გამარჯვებას დიდი საშინაო და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა: მან გარდატეხა შეიტანა ომის მთელ მსვლელობაში რუსეთის არმიის სასარგებლოდ და გარდუვალი გახადა ნაპოლეონის დამარცხება. ბოროდინოს შემდეგ გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ნაპოლეონის მიერ დაპყრობილ ხალხებში, ხოლო რუსეთის განუმტკიცდა მტრის გაწადგურების რწმენა.

ზოგიერთი კითხვას სვამს: თუ ბოროდინოს ბრძოლა რუსებმა მოიგეს, რატომ განაგრძო კუტუზოვმა უკანდახევა, რატომ ჩაბარა მტერს მოსკოვი? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა კუტუზოვის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ნაპოლეონის დამარცხებას ითვალისწინებდა არა მასთან ერთი ან ორი გადამწყვეტი შეჯახებით, არამედ სახალხო ომით, რომელსაც ეს ძლიერი მტერი უნდა მოეძანცა და საბოლოოდ გაენადგურებინა. კუტუზოვმა 1 სექტემბერს დაბა ფილში თათბირის დროს მართლაც განაკვირვა მტრისათვის მოსკოვის ჩაბარების შესახებ. ბენიქსენი და ზოგი მისი დამქაში რუსეთის გენერალიტეტიდან ავრცელებდნენ ჭორებს მთავარსარდლის უნებისყოფობისა და სიმხდალის შესახებ. მაგრამ კუტუზოვისათვის — იზმაილის გმირისათვის, უნებისყოფობასა და სიმხდალეში ბრალდების წაყენებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა გარდა შურისა და გაბოროტებისა.

ამ თათბირზე კუტუზოვს, როგორც აკად. ე. ტარლე შენიშნავს, იმ სიტყვებისათვის, რომელიც მან თათბირის დასასრულს წარმოთქვა, გაცილებით მეტი ვაჟკაცობა სჭირდებოდა, ვიდრე იზმაილთან, როცა თავის პოლკებს იერიშზე მიუძღოდა. აქ ყველაზე მეტად გამოჩნდა ნებისყოფის სიმტკიცე, რადგან იგი წავიდა სასახლის, გენერალიტეტის, არმიის სურვილის წინააღმდეგ და მარტო თავისთავზე აიღო პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედისათვის. „თქვენ გეშინიათ მოსკოვიდან უკანდახევისა, — მიმართავდა იგი გენერლებს, — მაგრამ მე წინასწარ ვუჩვენებ ამაში არმიის ხსნას. ნაპოლეონი გრიგალისებური ნიაღვარია, რომლის შეჩერება ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია. მოსკოვი ის ღრუბელია, რომელიც მას შეიწოვს“.

ნაპოლეონი იმედებით შევიდა მოსკოვში. აქ იგი მოელოდა თავისი მოქანცული არმიის დასვენებას, და თუ რუსეთის მხრიდან ხელსაყრელ ზავს არ შესთავაზებდნენ, ომის გაგრძელებას მის წარმატებით დასასრულამდე.

მოსკოვში მას ეს იმედები გაუცრუდა. მოსკოველებმა დაცალეს ქალაქი და არმიას ამოუდგნენ გვერდში. ქალაქში დარჩნენ მხოლოდ პარტიზანები, რომლებიც ფრანგებს მოსვენებას არ აძლევდნენ. მალე მთელი ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია და გადაიბუგა. მოსკოვის ხანძარს ადრე როგორც რუსი, ისე უცხოელი ისტორიკოსები რუსებს მიაწერდნენ. ამ ვერსიის პირველი წყარო იყო თვით ნაპოლეონი და მოსკოვის მკვეხარა გენერალ-გუბერნატორი რასტოპჩინი, რომელიც მოსკოვის გადაწვას იჩემებდა როგორც დამსახურებას. უკანასკნელ წლებში მიკვლეული და გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ მოსკოვი ფრანგებმა დაწვეს თვით ნაპოლეონის მითითებით, რომელსაც სურდა უდაბნოდ ექცია მისთვის საძულველი რუსეთის გული.

მოსკოვში იმედგაცრუებულმა ნაპოლეონმა თვით აიღო რუსეთთან დაზავების ინიციატივა, მაგრამ ყველა მისი ცდა წარუმატებლად დამთავრდა. საზავო წინადადებებისათვის კუტუზოვის ბანაკში მიქლინებულმა ნაპოლეონის ენერალ-ადიუტანტმა მარკიზ ლორისტონმა რუსეთის მთავარსარდლისგან ასეთი პასუხი მიიღო: „რუსეთი მხოლოდ ახლა იწყებს ომს“. კუტუზოვმა ამასთან დაახასიათა რუსი ხალხის განწყობილებაც: „რუსი ხალხი ფრანგებს ისე უყურებს, როგორც თაფლებს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩინგის-ხანის მეთაურობით“.

მოსკოვიდან უკანდახევის შემდეგ კუტუზოვმა განახორციელა ტარუტინოს ცნობილი მარშ-მანევრი, ამ მანევრით მან ომის მთელი სტრატეგიული ვითარება მკვეთრად შეცვალა თავის სასარგებლოდ: არმია გამოყვანილ იქნა მტრის დარტყმიდან და შესაძლებლობა მიეცა მშვიდობიან ვითარებაში მომზადებულიყო კონტრშეტევისათვის. ტარუტინომ ამასთან დაიცვა არა მარტო კალუგა, სადაც თავმყრილი იყო არმიისთვის საჭირო უზარმაზარი მარაგი, არამედ ტულაც მისი იარაღის ქარხნებით.

კუტუზოვმა ამასთან შეინარჩუნა კავშირი სამხრეთ ოლქებთან, რომლებიც მის არმიას ჰკვებავდნენ ადამიანებით, ცხენებითა და სურსათით. აქედანვე უთვალთვალებდა იგი მოსკოვ-სმოლენსკის გზას — ნაპოლეონს უსპობდა თავისუფალი მანევრირების საშუალებას.

ტარუტინოში ძალთა თანაფარდობა რუსეთის არმიის სასარგებლოდ შეიცვალა. მოსკოვის არსენალიდან, ბრიანსკიდან, ულალის ქარხნებიდან მოტანილ იქნა ახალი ზარბაზნები, რომელთა რაოდენობა პირველ არმიაში 622-მდე ავიდა. ახალმა გაწვევამ არმიას 180 ათასზე მეტი მეომარი შემატა.

მომზადებულ იქნენ სახალხო მოლაშქრენი მოსკოვის, ტულის, ტვერის, იაროსლავლის, ვლადიმირის, რიაზანის, კალუგის და სმოლენსკის გუბერნიებში. კუტუზოვს ახლა უკვე ჰყავდა საკმაო ძალები იმისათვის, რომ გარემოეცვა ნაპოლეონის არმია და გაეგადგურებინა. 6-7 ოქტომბრიდან იგი უკვე პრაქტიკულად შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას, როცა მდინარე ჩერნიშნასთან მიურატის პოლკებს სასტიკი მარცხი მიაყენა.

ნაპოლეონი კარგად იყო ინფორმირებული რუსეთის არმიის გაძლიერების, რუსეთში დიდი სახალხო ომის მზადების შესახებ, მან კერ გაბედა მოსკოვიდან გაჭრილიყო რუსეთის სამხრეთში და ისევ უკანდახევა ამჯობინა. მოსკოვიდან გატაცებული განძეული ნაპოლეონმა აღრე გაგზავნა სმოლენსკში. 7 ოქტომბერს დაიძრნენ მისი ძირითადი ნაწილები. ნაპოლეონმა გადაწყვიტა დაენგრია მოსკოვი. მან ნაღმები ჩააწყო კრემლის ასაფეთქებლად, რაც წვიმების გამო მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

ფრანგების მოსკოვიდან გაქცევის შესახებ კუტუზოვს პირველი ცნობა პარტიზანებმა მიუტანეს. დიდმა მხედართმთავარმა ზუსტად გამოიცნო ნაპოლეონის ჩანაფიქრი და სწრაფი მარშით მტერს გზა მოუჭრა მალოიაროსლავეცთან. ახლა, მალოიაროსლავეცის პლაცდარმზე ეს ორი არმია კვლავ პირისპირ შეხვდა ერთმანეთს. მოსალოდნელი იყო ახალი ბოროდინო. ნაპოლეონს ან უნდა მიეღო გენერალური ბრძოლა ან უკანდახევისთვის აერჩია სმოლენსკის ის ძველი გზა, რომლითაც მოვიდა მოსკოვში. ეს გზა გავეარნებული იყო.

ნაპოლეონმა, რომელიც აქამდე თვით ეძებდა გენერალურ ბრძოლას, პირველად თავის სიცოცხლეში ვერ გაბედა მოწინააღმდეგესთან შეჯახება. პირველად თავის სიცოცხლეში მან ზურგი უჩვენა მტერს და ამჯობინა მდეენელის პოზიციიდან დევნილის პოზიციაში გადასულიყო.

სმოლენსკის ძველი გზით უკანდახეულ ფრანგებს შესანიშნავი ოსტატობით მისდევდა ქვალდაკვალ რუსეთის არმია და მას გასაქანს არ აძლევდა, ურტყამდა მას ღლეც და ღამეც, ზურგიდან და ფლანგებიდან. ნაპოლეონის წინაშე თანდათან იზრდებოდა საფრთხე, ამიტომ იგი რაც შეიძლება სწრაფად გარბოდა, გზაზე ტოვებდა დაჭრილებს, საბარგულებს, იარაღსაც კი. 107 ათასი მეომრიდან სმოლენსკში ნაპოლეონმა მხოლოდ 42 ათასი ჩაიყვანა.



სმოლენსკმა მტერს ისევ არ გაუმართლა. აქ საკმაო არაკსურსათი დახვდა, არც შეესება. პარიზიდან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა. ევროპა უკვე დრტვინავდა. იმპერატორმა გადაწყვიტა რაც შეიძლება სწრაფად ევლო პარიზამდე. სმოლენსკიდან ნაპოლეონმა — მაგრამ მე წინასწარ ვუჩვენებ ამაში არმიის ხსნას. ნაპოლეონი გრიგალისებური ნიაღვარია, რომლის შეჩერება ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია. მოსკოვი ის ღრუბელია, რომელიც მას შეიწოვს“.

ნაპოლეონი იმედებით შევიდა მოსკოვში. აქ იგი მოელოდა თავისი მოქანცული არმიის დასვენებას, და თუ რუსეთის მხრიდან ხელსაყრელ ზავს არ შესთავაზებდნენ, ომის გაგრძელებას მის წარმატებით დასასრულამდე.

მოსკოვში მას ეს იმედები გაუცრუდა. მოსკოველებმა დაცალეს ქალაქი და არმიას ამოუდგნენ გვერდში. ქალაქში დარჩნენ მხოლოდ პარტიზანები, რომლებიც ფრანგებს მოსვენებას არ აძლევდნენ. მალე მთელი ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია და გადაიბუგა. მოსკოვის ხანძარს ადრე როგორც რუსი, ისე უცხოელი ისტორიკოსები რუსებს მიაწერდნენ. ამ ვერსიის პირველი წყარო იყო თვით ნაპოლეონი და მოსკოვის მკვეხარა გენერალ-გუბერნატორი რასტოპჩინი, რომელიც მოსკოვის გადაწვას იჩემებდა როგორც დამსახურებას. უკანასკნელ წლებში მიკვლეული და გამოქვეყნებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ მოსკოვი ფრანგებმა დაწვეს თვით ნაპოლეონის მითითებით, რომელსაც სურდა უდაბნოდ ექცია მისთვის საძულველი რუსეთის გული.

მოსკოვში იმედგაცრუებულმა ნაპოლეონმა თვით აიღო რუსეთთან დაზავების ინიციატივა, მაგრამ ყველა მისი ცდა წარუმატებლად დამთავრდა. საზავო წინადადებებისათვის კუტუზოვის ბანაკში მიქლინებულმა ნაპოლეონის ენერალ-ადიუტანტმა მარკიზ ლორისტონმა რუსეთის მთავარსარდლისგან ასეთი პასუხი მიიღო: „რუსეთი მხოლოდ ახლა იწყებს ომს“. კუტუზოვმა ამასთან დაახასიათა რუსი ხალხის განწყობილებაც: „რუსი ხალხი ფრანგებს ისე უყურებს, როგორც თაფლებს, რომლებიც შემოიჭრნენ ჩინგის-ხანის მეთაურობით“.

მოსკოვიდან უკანდახევის შემდეგ კუტუზოვმა განახორციელა ტარუტინოს ცნობილი მარშ-მანევრი, ამ მანევრით მან ომის მთელი სტრატეგიული ვითარება მკვეთრად შეცვალა თავის სასარგებლოდ: არმია გამოყვანილ იქნა მტრის დარტყმიდან და შესაძლებლობა მიეცა მშვიდობიან ვითარებაში მომზადებულიყო კონტრშეტევისათვის. ტარუტინომ ამასთან დაიცვა არა მარტო კალუგა, სადაც თავმყრილი იყო არმიისთვის საჭირო უზარმაზარი მარაგი, არამედ ტულაც მისი იარაღის ქარხნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ილარიონის-ძე **კუტუზოვი** — გენიალური რუსი მხედართმთავარი, მოწინავე რუსული სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი შემქმნელი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ბოროდინოს ბრძოლა შევიდა როგორც რუსი ხალხის დიდი გმირობა ნაპოლეონის შემოსევებისათვის ბრძოლაში. სოფელ ბოროდინოსთან ბრძოლის დღეს — 1812 წლის 26 აგვისტოს (7 სექტემბერს) რუსეთის არმიამ ნაპოლეონის არმიასთან გააფთრებული ბრძოლა გადიტანა.

15 საათს გრძელდებოდა ბრძოლა იმ დროის ორ უძლიერეს არმიას შორის. რუსების პოზიციებზე გაანფთრებული იერიშები მიჰქონდათ ფრანგების საუკეთესო ნაწილებს. ბაგრატიონის ფლეშებზე და რაევსკის ბატარიაზე ფრანგებმა მრავალი იერიში მიიტანეს. შეუპოვარი ბრძოლები იყო სემიონოვსკოეს ნაკადულის სათავეებში და სმოლენსკის ძველ გზაზე. მაგრამ მტრის ჯარები ყველგან აწყდებოდნენ გადამწყვეტ წინააღმდეგობას რუსეთის ჯარების მხრივ, რომლებიც მამაცურად იცავდნენ რუსთა პოზიციის დასაყრდენ პუნქტებს.

ბოროდინოს ბრძოლის შედეგად გაიფანტა მითი ნაპოლეონის არმიის უძლეველობის შესახებ. რუსეთის არმიამ მოიპოვა გამარჯვება, რომლის შედეგებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო რუსეთში საომარი მოქმედების შემდგომი განვითარებისათვის, არამედ მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისთვისაც ევროპის ქვეყნებში, რომლებიც დამონებული ჰყავდა ნაპოლეონს.

სურათზე: სოფელი გორკი და სმოლენსკის ახალი გზა, რომლითაც მიიწევდა ნაპოლეონის არმია მოსკოვზე შეტევისას.

ფოტო ო. კუზმინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიადი, უკვდავი...

1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავის აღსანიშნავად

□ **რუსეთის** გამარჯვება ნაპოლეონის ურდოებზე თანამედროვეებსაც და შემდგომ თაობებსაც მთელ მსოფლიოში მიანიჭდათ რუსი ხალხის დიად, უკვდავ გმირობად. ამას დამაჯერებლად მოწმობს მრავალი ექსპონატი 1812 წლის სამამულო ომისადმი მიძღვნილი წიგნებისა და სურათების დიდი გამოფენისა, რომელიც 26 აგვისტოს გაიხსნა სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. აქ წარმოდგენილია დოკუმენტები, გმირთა პორტრეტები, ბრძოლების გეგმები, მეცნიერთა ნაშრომები, ლიტერატურული ძეგლები და იმ დაუვიწყარი წლების თანამედროვე მხატვართა მრავალი ნაწარმოები.

დიდი ადგილი უკავია ბოროდინოს ბრძოლის ისტორიას. ამ განყოფილების ექსპოზიციაშია მთავარსარდალ მ. ი. კუტუზოვის მიერ შედგენილი გეგმა, „ბოროდინოს ბრძოლის ნარკვევები“, რომელთა ავტორი იყო მისი მონაწილე ფ. გლინკა, თავისი ობიექტურობით აღსანიშნავი პირველი მეცნიერული გამოკვლევა — „1812 წლის ომის ისტორიული აღწერა“ და სხვა მასალები.

ექსპოზიცია განსაკუთრებით მდიდარია გრაფიკული მასალებით.

პ. კოსოლაპოვი,
(საკდესის კორ.).

□ **მინსკი.** (საკდესი). პროფკავშირთა კულტურის სასახლეში გაიხსნა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა 1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავს.

რუსეთის პირველი ოლქები, რომლებმაც მტრის შემოსევა განიცადეს 1812 წელს, იყო ლატვია და ბელორუსია. რუსეთის არმია შეუპოვარ საარიერგარდო ბრძოლებში დიდ ზარალს აყენებდა ნაპოლეონის არმიას. დამთვალიერებელნი ხედავენ მასალებს ბელორუსიის ტერიტორიაზე ბრძოლების შესახებ.

აქ არის სურათების რეპროდუქციები და ლითოგრაფიები — საფრანგეთის კავალერიის გადასვლა დვინაზე, ბრძოლები მირთან. კლიასტიცოვასთან, ოსტროვნოსთან. სალტანოვკასთან ბრძოლის შესახებ, ბაგრატიონის პატაკის ფოტოპირები, კულნევის მოხსენება მოწინააღმდეგის ორი პოლკის განადგურების შესახებ დრუიასთან.

ორი დიდი სტენდის მასალები შეეხება რუსი ჯარების კონტრშეტევას, პარტიზანების საქმიანობასა და ნაპოლეონის არმიის განადგურებას.

□ **ჟოთაისი.** (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ 1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავს. კლუბებში, ბიბლიოთეკებსა და კულტურის სახლებში ეწყობა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენები, იმართება ლექციები და საუბრები.

დიდი გამოფენა გაიხსნა ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში. აქ წარმოდგენილია დოკუმენტები, სურათების რეპროდუქციები, ლითოგრაფიები და ლიტერატურა, რომლებიც მოგვითხრობენ სამამულო ომის დაწყებაზე, ფრანგ დამპყრობთა წინააღმდეგ რუსეთის არმიისა და რუსი ხალხის სახელოვან ბრძოლაზე, საბალოო სამშერის შექმნაზე, პარტიზანთა გმირობაზე, ნაპოლეონის არმიის განადგურებაზე. აქვე წარმოდგენილია რუს მხედართმთავართა პორტრეტები და სხვა ექსპონატები.

ასევთვე გამოფენები ეწყობა ქალაქის სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მარად ერთად, მხარდამხარ

ირაკლი ანთელავა. „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში“. სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადული“, 1962 წ.

„ხელმწიფეო, იმ წუთიდან, როდესაც მამათქვენი ტახტზე ავიდა, მე გადავწყვიტე, თუ კი ეს საჭირო იქნებოდა, თავი შემეწირა რუსეთის კეთილდღეობისათვის, იმ უბედური რუსეთისა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ მედროვეების ხელში სათამაშო ბურთად იქცა, ხოლო მერე კი — მსხვერპლიც გახდა მათი... ჩვენს სამშობლოს თვითმპყრობელი ხელისუფალი მართავს, მილიონების ბედი ერთი ადამიანის ჭკუა-გონებაზეა დამოკიდებული. პეტრე დიდის მმართველობის დროს ქვეყანა მოსვენებული იყო, მაგრამ გენიოსები იშვიათნი არიან, ღმერთმა იცის, რომ ჩვენი ხელები სისხლში ანგარების მიზნით არ გაგვისვრია, დე მსხვერპლი ნუ იქნება უსარგებლო. შეიგნეთ თქვენი დიდი დანიშნულება, იყავით ტახტზე, თუ შეიძლება, პატიოსანი ადამიანი და რუსი მოქალაქე. გახსოვდეთ, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, და ნუ მიიყვანთ სამშობლოს დაღუპვის კარამდე. კაცი, რომელიც სიცოცხლეს სწირავს რუსეთს. უფლებამოსილია გითხრათ ეს თქვენ... მშვიდობით, ხელმწიფეო, მეფის წინაშე მე ქვეყნის მხსნელი ვარ, შვილის წინაშე კი — მამის მკვლელი“.

ასე გულწრფელად, მეტად მახლობლურად სწერდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველი გენერალი ვლადიმერ იაშვილი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველს. ქართველი გენერალი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თავს სწირავდა რუსეთს, მის კეთილდღეობას. ასეთ თავდადებულ მამულიშვილთა სახელებს, მათს საგმირო საქმეებს ცოცხლად, საინტერესოდ და მეცნიერული სიზუსტით გადმოგვცემს პროფესორი ირ. ანთელავა წიგნში — „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა წიგნის მაღაზიებში.

უკვე ასორმოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნაპოლეონ ბონაპარტე ექვსასათასიანი არმიით თავს დაესხა რუსეთს. 1812 წლის სამამულო ომში მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგა მთელი ხალხი. რუსების მხარდამხარ ვაჟკაცურად იბრძოდნენ საქართველოს შვილებიც.

ავტორი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ქართველებიდან ასახელებს 72 კაცს, მათ შორის 12 გენერალს. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ამოიკითხავთ აქ გვარებს, რომლებმაც ასახელეს სამშობლო და მტერთან ბრძოლაში — სმოლენსკთან თუ ბოროდინოსთან, მოსკოვთან თუ ბერეზინასთან რუსი ხალხის შვილების მხარდამხარ დაიცვეს სამშობლოს დამოუკიდებლობა.

გენერალი პეტრე ბაგრატიონი — ასეა დასათაურებული წიგნის ერთი თავი. აქ ავტორი საინტერესოდ გადმოგვცემს სახელგანთქმული მხედართმთავრის პეტრე ივანეს-ძე ბაგრატიონის სამხედრო მოღვაწეობას, მის დამსახურებას სამამულო ომში. წიგნში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბაგრატიონი, ისე როგორც სუვოროვი, რუსეთის პატრიოტი იყო, მას გულით უყვარდა რუსი ხალხი და ამ სიყვარულს შესწირა თავისი შესანიშნავი სიცოცხლე. სასიკვდილოდ დაჭრილი ბაგრატიონი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა, შემდეგ სტრიქონებს სწერდა თავის ერთ მახლობელს: „მშვიდობით, ჩემო საპატიო მეგობარო, აწ ველარ გნახავ, მე გკვდები არა ჭრილობისაგან, არამედ მოსკოვის დარდით“.

წიგნის შემდგომ თავებში ცალცალკე განხილულია არიან გენერლები ვლადიმერ და ლევან იაშვილები, გენერლები ფანჩულიძეები და ბიბილური, გენერლ

„მოაზროვნე“ მანქანები —მტრები თუ მეგობრები?

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტში წარმატებით ამუშავებენ ახალი კიბერნეტიკული მანქანების კრიტიკებს.

საბჭოთა „ახალი ამბების“ კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ვ. ტრაპეზნიკოვს მოეთხრო კიბერნეტიკის განვითარების პერსპექტივებზე.

— ადამიანის წინაშე, რომელმაც ხელი მოჰკიდა მომავალზე მსჯელობას, ორი საშიშროება ისახება, — თქვა აკადემიკოსმა, — პირველი — მიეღოდ ფანტაზიას, სასურველი მიიჩნიო სინამდვილად და გქონდეს განუსაზღვრელი მოლოდინი, რომელიც აღემატება რეალურ შესაძლებლობებს. მეორე — გამოიჩინო აზრის გადამეტებული გაუბედობა, ზედმეტად შეზღუდო ადამიანის შესაძლებლობანი, იეარაუდო ხაკლები, ვიდრე შესაძლებელი და საჭიროა. მე მგონია, რომ იმ დარგში, რომელიც ნაგულისხმევია ჩემდამი მოცემული კითხვაში, — კიბერნეტიკის დარგი — მეორე საშიშროება პირველზე უფრო რეალურია. აქ დაუშვებელია გამოდიოდე ძალზე ფრთხილი წინასწარმეტყველებით.

როდესაც კიბერნეტიკის განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობენ, ბევრნი გამოთქვამენ აზრს, რომ მანქანა გადაწყვეტს ნებისმიერ ამოცანას, მაგრამ თვითონ ვერასოდეს ვერ შეძლებს ამოცანის დასახვას. ამას, შეიძლება ამ დაკვირვებამ, რადგან ამჟამად უკვე გვაქვს მოწყობილობანი, რომლებიც არა მარტო წყვეტენ, არამედ კიდევაც სახავენ ამოცანას, თუმცა ჯერჯერობით საკმაოდ მარტივს.

იმის შესახებ, თუ რამდენად საეჭვოა ჩვენს დარგში ძალზე გაუბედავი პროგნოზები, ლაპარაკობს თვით კიბერნეტიკის ისტორია. ეს ისტორია ძალიან მოკლეა. მხოლოდ თვრამეტი წლის წინათ დაიწყეს პირველი კიბერნეტიკული მოწყობილობის დამუშავება. და აი, არც თუ დიდი ხნის შემდეგ ჩვენ გვაქვს სამართი, სხვადასხვა თვისებისა და დანიშნულების, მე ვიტყოდი, ერთობ მრავალფეროვანი უნარის მქონე საინფორმაციო-ლოგიკური მანქანები.

წარმოიდგინეთ, 1944 წელს მეცნიერი მათემატიკოსისათვის ნორბერტ კინერისათვის, რომელსაც შემდგომში „კიბერნეტიკის მამა“ შეარქვეს, რომ ეთქვათ, 1962 წელს მთარგმნელი მანქანები, ტექსტის დაწოუკედებლად მკითხველი და ჩამწერი, თვითმსწავლელი და, ბოლოს, თავისი თავის შემქმნელი და დამპროექტებელი მანქანები ამუშავდებიანო, საფეერებელია, იგი ამ ცნობას უსაფუძვლო ფანტაზიად ნიიჩნევდა. ასეთი მანქანები კი, თუმცა ზოგჯერ დაწყებითს სტადიაზი, არსებობენ და მათი შემდგომი სრულყოფა იქნებარეშეა.

კონებრივი პროცესების შემსრულებელი მანქანების სრულყოფა სულ უფრო სწრაფი ტემპით განხორციელდება. ეს გამოწვეულია ცხოვრების დაჟინებითი აუცილებლობით.

ცხოვრების განვითარება ბევრ ისეთ ამოცანას აყენებს, რომელთა გადაწყვეტა ადამიანს არ ძალუძს ლოგიკური და სამართი მანქანების დაუხმარებლად.

ავიღოთ შემთხვევა, როდესაც საჭიროა ამა თუ იმ მიზნისათვის ერთ პროცესტამდე სიზუსტით ათი პარამეტრის განსაკუთრებით ხელსაყრელი მნიშვნელობის განსაზღვრა. ნებისმიერი კონსტრუქციის ყველაზე საეკეთესო ვარიანტის შერჩევის დროს ასეთი ამოცანები არც თუ იშვიათად წამოიჭრება ხოლმე. ყოველ ასეთ შედარებას ადამიანმა ერთი წამიც რომ მოანდომოს, მოელი ამ სამუშაოს შესრულებისათვის დაახლოებით სამასი წელიწადი დასჭირდებოდა. თანამედროვე კიბერნეტიკული მანქანა კი მცირე გადაწყვეტილებას რამდენიმე საათში მოგცემთ.

ან, ვთქვათ, ისეთი მოწყობილობა, როგორიც არის შემმოწმებელი უნივერსალური მანქანა, რომელსაც ჩვენს კვეყანაში უმზებენ. იგი სავსებით „ადამიანურ“ სამუშაოს ასრულებს: ამოწმებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ბლოკების ბარისხს. ასეთ ბლოკში 3.700 ელემენტია, მრავალი შეერთება, თვით ეს ელემენტები თითქმის მიკროსკოპული სიდიდისა არიან. ორმა კვალიფიციურმა კონტროლორმა ათი დღე უნდა მოანდომოს ამ სამუშაოს შესრულებას. მანქანა კი 40-ჯერ სწრაფად ასრულებს. ამასთან მას შეუძლია ერთდროულად შეაკეთოს შემჩნეული დაზიანება და ამგვარად ასრულებს როგორც კონტროლიორის, ისე გამწყობის სამუშაოს.

ამის მიუხედავად, ყველა ეს მანქანა, დარწმუნებული ვარ, წარმოადგენს მომავალი კიბერნეტიკული მანქანების სუსტ მონახაზს. ამ დარგში, გაცილებით ნათლად, ვიდრე სხვაგან, ვლინდება ის, რომ ტექნიკური პროგრესი გეომეტრიული პროგრესიით სწრაფად მიიწევს წინ.

ყოველი ახალი მიღწევა ხელს უწყობს განვითარების ტემპების ზრდას, ბადებს ახალ მანქანებს, მათ უახლოეს „წინაპრებზე“ უფრო უნარიანს.

მართალია, თანამედროვე კიბერნეტიკული მოწყობილობანი ზოგ რამეში აღემატებიან ადამიანის გონებრივ უნარს, ვთქვათ, მახსოვრობაში, მოქმედების სისწრაფეში, მაგრამ ბევრ რამეში ჩამორჩებიან ტვინის შესაძლებლობებს. და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, უნივერსალობაში, ასოციაციის საფუძველზე ამოცანების გადაწყვეტის უნარში. ჩვენი მანქანები ჯერჯერობით ე. წ. „ვიწრობა, რომ ფოტო ფარხმალს დააყრევინებდა მბაძვრებს. უკვე ჩვენს დროში, ხმოვანი კინოს გაჩენასთან დაკავშირებით, თეატრს დაეუბეგას უწინასწარმეტყველებდნენ. მრავალი ასეთი წინასწარმეტყველების მოყვანა შეიძლება.

ზუსტად ასევე უსაფუძვლოა კიბერნეტიკის განვითარებასთან დაკავშირებული სიშიშროება. ეს გამოწვეულია არა მეტოქეობის მანქანასა და ადამიანს შორის, მტრობას მანქანასა და მის შემქმნელს შორის, არამედ თანამშრომლობას, შესაძლებლობას შეასრულოს ადამიანმა უფრო მეტი სასარგებლო სამუშაო, აკეთოს სწრაფად, უკეთ, შეუცდომლად.

არა, კიბერნეტიკის განვითარება არ გულისხმობს სასარგებლო საქმიანობის სფეროდან ადამიანის განდევნას. პირიქით, იგი გულისხმობს დახმარებას ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც ადამიანი მაღე ვერ შეძლებს მანქანური ტვინის დაუხმარებლად.

ცნობილია, მაგალითად, რომ მეცნიერული ლიტერატურის რაოდენობა ყოველ თორმეტ წელიწადში ორკეცდება. უკვე ახლა თითქმის შეუძლებელი ხდება თვალყური ადევნო ყველა ასეთ გამოცემას, იყო მაოფლიოში წარმოებული ყველა მეცნიერული კვლევის საქმის კურსი. რაღა იქნება ორი ათეული წლის შემდეგ? თვით ცხოვრების აუცილებლობა გვაიძულებს გამოვიყენოთ მახეანები მეცნიერული ლიტერატურის შეკრების, სისტემატიზაციისა და კოხაპექტირებისათვის.

სერიოზულ პრობლემებს დააყენებს ადამიანის საწარმოო მოღვაწეობისათვის მომზადებაც. უკვე ახლა სწავლების ყველა საფეხურზე მოსწავლეს აუცილებელი მასალის ათვისება დიდი ენერგიის დახარჯვით უხდება. დროთა განმავლობაში სწავლების ხედგებებისადმი სულ უფრო მაღალი მოთხოვნილებები იქმება წაყენებული. რას გამოიწვევს ეს? იმას ხომ არა, რომ ადამიანი იძულებული იქნება თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი სასწავლებლის კედლებში გაატაროს? და ხომ არ შეამცირებს ეს იმ დროს, რომელიც მან საწარმოო შრომას უნდა მოახმაროს?

ამ მდგომარეობიდან გამოსავალს კვლავ მანქანა გამონახავს. მანქანა, რომელიც დაგვეხმარება ადამიანის განსწავლაში, რომელიც ამისათვის გამოიყენებს ყველაზე გათვითცნობიერებული და ნიჭიერი მასწავლებლების მეთოდება, დაგვეხმარება ახალი, ყველაზე სრულყოფილი სასწავლო პროგრამის შექმნაში, სადაც შერწყმული იქნება თხრობა ჩვენებასთან და შესთავაზებს მოსწავლეებს შეაასწავლი დისციპლინის ყველაზე უახლეს მიღწევებს გაცილებით იოლი დამახსოვრების სახით.

კიბერნეტიკის განვითარება, რა თქმა უნდა, სერიოზულ ცვლილებებს შეიტანს ადამიანთა საზოგადოების სტრუქტურაში. აქ შეუცდომლად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ფიზიკური შრომის შემდგომი შემცირება. რომ არაფერი ვთქვათ ხელით შრომაში დაკავებულ ადამიანებზე, მკვეთრად შემცირდება რაცხვი იმ ადამიანებისაც, რომლებიც მართავენ დაზგებს და მარტივ მანქანებს, რომლებიც ამოწმებენ ნაწარმის ხარისხს, თვალყურს ადევნებენ ტექნოლოგიურ რეჟიმს და ა. შ. ამავე დროს სწრაფად გაიზრდება რიგები ინჟინრებისა, კონსტრუქტორებისა, ადამიანებისა, რომლებიც დაამუშავებენ პრინციპულად ახალ საწარმოო მეთოდებს, წარმოების ტექნიკური ხელმძღვანელებისა.

დრო ადამიანის წინაშე დააყენებს ახალ და რთულ ამოცანებს. და, რა თქმა უნდა, მათი გადაწყვეტის პროცესში ადამიანის გონება ნაცვლად დეგრადაციისა, როგორც ზოგიერთი სკეპტიკოსები შიშობენ, სულ უფრო განვითარდება.

კონსერვატიულად მოაზროვნე ბიოლოგები, ფსიქოლოგები, ექიმები იხე უფრთხიან კიბერნეტიკას, როგორც ეშმაკი საკმეველს.



— შეექმენი ჩემდა საუბედოროდ!

დასავლეთის დიპლომატიური შირმა

ჟენევა, 29 აგვისტო. (საკდესის სპეციალური კორესპონდენტი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღევანდელი სხდომის ყურაღღების ცენტრში იყო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ვ. ვ. კუზნეცოვის გამოსვლა, როდესაც მან მოიყვანა სსრ კავშირის დელეგაციის მოსაზრებანი ორი დოკუმენტის შესახებ, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა კომიტეტის განსახილველად წარადგინეს და რომლებიც ეხება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხს. ერთ დოკუმენტს ეწოდება „პროექტი ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ყველა გარემოში“. მეორე დოკუმენტს ეწოდა — „პროექტი ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ“.

ვ. ვ. კუზნეცოვმა გააანალიზა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია იმ საკითხში, რომ ატომური იარაღის გამოცდა აიკრძალოს მთელი წლების მანძილზე, სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობს და, ცხადყო, რომ ამ პოზიციის არსი უცვლელი იყო და არის. ამ პოზიციის არსი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის ერთსა და იმავე მოთხოვნას აყენებენ, რა სიტყვებითაც და წინადადებებითაც უნდა გამოხატავდნენ მას მოლაპარაკების სხვადასხვა ეტაპზე: ან არ იქნება გამოცდის რაიმე შეწყვეტა და გამალებული ატომური შეიარაღება გაგრძელდება აღმავალი სპირალით, ანდა საბჭოთა კავშირმა გამოცდის შეწყვეტის საფასურად დასავლეთის სახელმწიფოებს, ნატოს სამხედრო ბლოკს უნდა გადაუშალოს თავისი ეროვნული თავდაცვის სისტემა იმ პირობებში, როცა დასავლეთის სახელმწიფოთა გარკვეული წრეები არ მალავენ, რომ ატომურ ომს ამზადებენ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ეს აზრი ეღო საფუძვლად დასავლეთიდან სახელმწიფოთა 1961 წლის 18 აპრილის წინადადებას, იგი არც შემდეგში შეცვლილა.

ახლა, განაცხადა ვ. ვ. კუზნეცოვმა, ჩვენს წინაშეა ეგრეთწოდებული „პროექტი ხელშეკრულებისა ატომური იარაღის გამოცდის შესახებ ყველა გარემოში“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა შეიტანეს 27 აგვისტოს. ჩვენ ყველავ გვეუბნებიან, რომ ეს ახალი წინადადებებია და რომ ისინი თითქმის კონკრეტულად გარებით ხელსაყრელი მნიშვნელობის განსაზღვრა. ნებისმიერი კონსტრუქციის ყველაზე საეკეთესო ვარიანტის შერჩევის დროს ასეთი ამოცანები არც თუ იშვიათად წამოიჭრება ხოლმე. ყოველ ასეთ შედარებას ადამიანმა ერთი წამიც რომ მოანდომოს, მოელი ამ სამუშაოს შესრულებისათვის დაახლოებით სამასი წელიწადი დასჭირდებოდა. თანამედროვე კიბერნეტიკული მანქანა კი მცირე გადაწყვეტილებას რამდენიმე საათში მოგცემთ.

ან, ვთქვათ, ისეთი მოწყობილობა, როგორიც არის შემმოწმებელი უნივერსალური მანქანა, რომელსაც ჩვენს კვეყანაში უმზებენ. იგი სავსებით „ადამიანურ“ სამუშაოს ასრულებს: ამოწმებს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ბლოკების ბარისხს. ასეთ ბლოკში 3.700 ელემენტია, მრავალი შეერთება, თვით ეს ელემენტები თითქმის მიკროსკოპული სიდიდისა არიან. ორმა კვალიფიციურმა კონტროლორმა ათი დღე უნდა მოანდომოს ამ სამუშაოს შესრულებას. მანქანა კი 40-ჯერ სწრაფად ასრულებს. ამასთან მას შეუძლია ერთდროულად შეაკეთოს შემჩნეული დაზიანება და ამგვარად ასრულებს როგორც კონტროლიორის, ისე გამწყობის სამუშაოს.

ამის მიუხედავად, ყველა ეს მანქანა, დარწმუნებული ვარ, წარმოადგენს მომავალი კიბერნეტიკული მანქანების სუსტ მონახაზს. ამ დარგში, გაცილებით ნათლად, ვიდრე სხვაგან, ვლინდება ის, რომ ტექნიკური პროგრესი გეომეტრიული პროგრესიით სწრაფად მიიწევს წინ.

ყოველი ახალი მიღწევა ხელს უწყობს განვითარების ტემპების ზრდას, ბადებს ახალ მანქანებს, მათ უახლოეს „წინაპრებზე“ უფრო უნარიანს.

მართალია, თანამედროვე კიბერნეტიკული მოწყობილობანი ზოგ რამეში აღემატებიან ადამიანის გონებრივ უნარს, ვთქვათ, მახსოვრობაში, მოქმედების სისწრაფეში, მაგრამ ბევრ რამეში ჩამორჩებიან ტვინის შესაძლებლობებს. და უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, უნივერსალობაში, ასოციაციის საფუძველზე ამოცანების გადაწყვეტის უნარში. ჩვენი მანქანები ჯერჯერობით ე. წ. „ვიწრო

ტელეგრამა გვატყობინებს

● **დასავლეთი ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). პროვოკაციული თავდასხმები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის შენობებზე გრძელდება. როგორც დასავლეთ ბერლინის პრესის ცნობებიდან ჩანს, გუშინ ნაშუადღეს პროვოკატორებმა ჩამტვრიეს ფანჯრები გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბიუროს შენობაში დასავლეთ ბერლინის შარლოტენბურგის რაიონში.**

● **დასავლეთი ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). „საფრონტო ქალაქში“ ომის ფსიქოზის ატმოსფეროს შენარჩუნების მიზნით ამერიკელთა სამხედრო სარდლობა სისტემატურად აწყობს სასწავლო განგაშს თავისი გარნიზონის ნაწილებში დასავლეთ ბერლინში.**

● **კოპენჰაგენი, 29 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ფოლკეტინგის (პარლამენტის) რიგგარეშე სხდომაზე 145 ხმიდან 17-ის წინააღმდეგ მეორე წაკითხვით მოიწონეს მთავრობის კანონპროექტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების გადიდების შესახებ.**

კამათის დროს, რაც მთელ დღეს გაგრძელდა, „სრულიად დანიის 1961 წლის ორგანიზაციის „წარმომადგენლებმა ფოლკეტინგის სხდომათა დარბაზში გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია.

ადენაუერის ფარისევლობა

ბონი, 29 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

ხანგრძლივი გაჭიანურების შემდეგ დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა, ბოლოს, გაუგზავნა წერილები ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურებს. წერილების მომავალი გადაცემა ერთ კვირაზე მეტი ხნის წინათ გამოცხადდა. მაგრამ, როგორც დღეს გაუგეთ „დი ველტი“ აღნიშნავს, ამერიკის მთავრობამ მოითხოვა, რომ ადენაუერის წერილების შინაარსი წინასწარ შეთანხმებული ყოფილიყო დასავლეთის სამი სახელმწიფოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივ კომიტეტში ვაშინგტონში. დაიწყო ფიალმატიურ პრაქტიკაში უჩვეულო პროცედურა: ოთხი ადრესატიდან სამმა პირდაპირი მონაწილეობა მიიღო მათთვისვე გასაგზავნი წერილების შედგენაში. ვაშინგტონში მთელ კვირას ადგენდნენ და ათანხმებდნენ დასავლეთ გერმანიის კანცლერის წერილების ტექსტს.

ამ უკანასკნელ ხანს ბონში ფართოდ გავრცელდა თავისებური პრაქტიკა, როცა საიდუმლო წერილების შინაარსი გამამაურდება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ამ წერილებს ადრესატები მიიღებდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც. მთელ დასავლეთგერმანულ პრესას დაწვრილებით მოჰყავს ადენაუერის წერილების შინაარსი. როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, დასავლეთ გერმანიის კანცლერი დაგვიანებით ცდილობს მოხსნას პასუხისმგებლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებს ომის ფსიქოზისა და უკიდურესი დაძაბულობის ატმოსფეროს გაღვივებისათვის ამასწინანდელ პროვოკაციებთან დაკავშირებით დასავლეთ ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ადენაუერი, როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, დუმილით უვლის გვერდს დასავლეთ ბერლინში საშიში ვითარების შექმნის უშუალო დამნაშავეთა საკითხს. სამაგიეროდ იგი ფარისევლურად მიმართავს „ჰუმანურობას“. ადენაუერის მოწოდება განსაკუთრებით მკრეხელურად გაისმის მაშინ, როცა გათავხედებული დასავლეთბერლინელი „ულტრები“ თავს ესხმიან სასაზღვრო ნაგებობებს, ქვას უშენენ რკინიგზის მატარებლებს და დასავლეთბერლინელ კანონის დამცველთა აშკარა წაყრუებით პროვოკაციებსაც კი აწყობენ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების წინააღმდეგ.

როგორც შემდეგ პრესის ცნობებიდან ჩანს, თავის წერილებში ადენაუერს არ შეაქვს რაიმე წინადადება გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაწყვეტისათვის. ეს როდი აწუხებს ბონს. ადენაუერის წერილების გარშემო ატეხილი აურზაური მხოლოდ ბლეფი აღმოჩნდა, რომლის მიზანია საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ნამდვილ ვითარებას. ამიტომ გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი“ აცხადებს, რომ „ბონში აქლემი დააწვინეს და რწყილი აშობინესო“.

ნენ დასავლეთ გერმანიის ავანცლერის წერილების ტექსტს.

ამ უკანასკნელ ხანს ბონში ფართოდ გავრცელდა თავისებური პრაქტიკა, როცა საიდუმლო წერილების შინაარსი გამამაურდება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ამ წერილებს ადრესატები მიიღებდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც. მთელ დასავლეთგერმანულ პრესას დაწვრილებით მოჰყავს ადენაუერის წერილების შინაარსი. როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, დასავლეთ გერმანიის კანცლერი დაგვიანებით ცდილობს მოხსნას პასუხისმგებლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებს ომის ფსიქოზისა და უკიდურესი დაძაბულობის ატმოსფეროს გაღვივებისათვის ამასწინანდელ პროვოკაციებთან დაკავშირებით დასავლეთ ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ადენაუერი, როგორც პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, დუმილით უვლის გვერდს დასავლეთ ბერლინში საშიში ვითარების შექმნის უშუალო დამნაშავეთა საკითხს. სამაგიეროდ იგი ფარისევლურად მიმართავს „ჰუმანურობას“. ადენაუერის მოწოდება განსაკუთრებით მკრეხელურად გაისმის მაშინ, როცა გათავხედებული დასავლეთბერლინელი „ულტრები“ თავს ესხმიან სასაზღვრო ნაგებობებს, ქვას უშენენ რკინიგზის მატარებლებს და დასავლეთბერლინელ კანონის დამცველთა აშკარა წაყრუებით პროვოკაციებსაც კი აწყობენ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების წინააღმდეგ.

როგორც შემდეგ პრესის ცნობებიდან ჩანს, თავის წერილებში ადენაუერს არ შეაქვს რაიმე წინადადება გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაწყვეტისათვის. ეს როდი აწუხებს ბონს. ადენაუერის წერილების გარშემო ატეხილი აურზაური მხოლოდ ბლეფი აღმოჩნდა, რომლის მიზანია საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს ნამდვილ ვითარებას. ამიტომ გაზეთი „ნოიე რაინ-ციტუნგი“ აცხადებს, რომ „ბონში აქლემი დააწვინეს და რწყილი აშობინესო“.

პრეზიდენტი კენედი მტკიცედ მოითხოვს

ვაშინგტონი, 30 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი მ. საღათელიანი იტყობინება:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ განცხადებაში გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები დაეთანხმებიან სსრ კავშირის წინადადებას ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ 1963 წლის პირველი იანვრიდან იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი მიიღებს ხელშეკრულების შესახებ ამერიკის ორი წინადადებიდან ერთერთს, რომელიც კრძალავს ატომური იარაღის გამოცდებს.

განცხადებაში, რომელიც კენედიმ წაიკითხა პრეს-კონფერენციის დასაწყისში, ფაქტიურად აღიარებულია, რომ უცვლელია შეერთებული შტატების პოზიცია, რომლებიც, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირს სთავაზობენ ან მოიღოს ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებიდან მიწისქვეშა გამოცდები, და ამრიგად დაიტოვოს ხელჩასაჭიდი, რომ განაგრძონ გამალებული ატომური შეიარაღება; ან აკრძალოს ყველა სახეობის გამოცდა და ამასთან აუცილებლად მიიღოს ამერიკის მოთხოვნა ინსპექციების მოწყობის შესახებ ადგილებზე, რაც ნიშნავს დასავლეთის სახელმწიფოთა ჯაშუშობის ლეგალიზაციას სსრ კავშირის ტერიტორიაზე და რაც აღრე თარყო საბჭოთა კავშირმა.

კენედის განცხადება, რომელიც წარმოადგენს პასუხს წინადადებაზე, რომ შეწყდეს ატომური იარაღის ყველა გამოცდა 1963 წლის პირველი, იანვრიდან, რომელიც საბჭოთა წარმომადგენელმა შეიტანა ენენვის მოლაპარაკებაზე, ორიმ ქვეყნის შორის, დაფორმულებულია პროპაგანდისტული მიზნით ისეთნაირად, რომ შეეშალა შთაბეჭდილება, თითქოს შეერთებული შტატები „დათმობაზე წავიდნენ“ და დაეთანხმნენ სსრ კავშირის ამ წინადადებას. კენედიმ, კერძოდ, თქვა, რომ „ბედნიერია განაცხადოს, რომ ამერიკის მთავრობას ეს თარიღი გონივრულად მიაჩნია და სურს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად განახორციელოს მაქსიმალური მეცადინეობა ეფექტიან შეთანხმებათა დადების მიზნით, რომლებიც შეიძლება ძალაში შევიდეს ახალი წლის პირველ დღეს“.

კენედიმ მოუწოდა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოლაპარაკების მონაწილეებს დაჩქარონ მოლაპარაკება და შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა ძიება. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ ამერიკის ხელშეკრულებათა ამ პროექტების „ყოველი ფორმის“ მიღება ნიშნავს „ნამდვილ მობრუნებას გამალებული შეიარაღების შემცირებისაკენ“.

პრეს-კონფერენციის შემდგომი მიმდინარეობის დროს კენედიმ განაცხადა, რომ დასავლეთის ოთხი სახელმწიფო პრინციპულად შეთანხმდა, რომ მათი საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის წინ; მაგრამ ასეთი თათბირის ადგილი და ზუსტი თარიღი ჯერ არ არის შეთანხმებული. უპასუხა რა კითხვაზე, აპირებს თუ არა პრეზიდენტი პირადად შეხვედეს ნ. ს. ხრუშჩოვს, თუ საბჭოთა მთავრობის მეთაური მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაში, კენედიმ თქვა, რომ მას კვლავ ზრა აქვს რაიმე ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიის მუშაობაში ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ.

პრეზიდენტს ბევრი შეკითხვა მისცეს, კერძოდ, კუბის შესახებ. პრეზიდენტს სთხოვეს კომენტარი გაეკეთებინა სენატორ კეიპჰარტის ამასწინანდელი გამოსვლისათვის, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უნდა შეიჭრნენ კუბაში.

კენედიმ უპასუხა: „წინააღმდეგი ვარ, რომ შევიჭრათ კუბაში ამჟამად“. კორესპონდენტები ამ განცხადებას აშკარა გაცხოველებით შეხვდნენ. პრეზიდენტმა სცადა სასწრაფოდ გამოესწორებინა თავისი სიტყვები: „ამ სიტყვებს არავითარი მეორე მნიშვნელობა არა აქვს. მიმაჩნია, რომ შეცდომა იქნებოდა კუბაში შეჭრა... რომ ამგვარ მოქმედებას, რომელიც შეიძლება იყოს მეტად მოუფიქრებელი წინადადების შედეგი, მოსალოდნელია მოჰყვეს უაღრესად სერიოზული შედეგები ბევრი ადამიანისათვის“.

კენედიმ თქვა, რომ თავის პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ბევრ ძალღონესა და ყურადღებას დაუთმობენ იმას, რომ მოახდინონ „კომუნისტური საფრთხის“ იზოლაცია კუბაში.



სურათზე: „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში — საქართველოს გუნდი. წინა რიგში მარცხნიდან ქალები — მ. ნინოშვილი, დ. ჯანუყაშვილი, რ. განუგრავა, ე. მახარაძე, ი. რომელაშვილი; კაცები — ნ. ფალავანდიშვილი, ა. ფარულავა, რ. მიქაძე, გ. ალავიძე, მ. ბოგუსი.

ფოტო ს. ალნიაშვილისა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

31 აგვისტო

18.00 — გადაცემა. მოსწავლეთათვის — „ხვალ იწყება სასწავლო წელი“, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.20 — გადაცემა „მეგობრების ხელოვნება“, 19.55 — კინონარკვევი, 20.25 — ახალი ამბები, 20.40 — დოკუმენტური ფილმი „ოპერაცია „ოდა“.

რადიო

1 სექტემბერი

პირველი პროგრამით

07.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — იოჰან შტრაუსის ნაწარმოებები, 09.20 — სატრფიალო და საცეკვაო მელოდიები, 11.00 — გადაცემა — „კორესპონდენტთა საგუშაგოებიდან გვატყობინებენ“, 11.15 — ახალგაზრდობისა და მეგობრობის სიმღერები, 12.15 — მაღრაძე. საფორტეპიანო კონცერტის მეორე ნაწილი, 12.45 — კონცერტი— „მღერის ახალგაზრდობა“, 13.40 — კაინბერგი. სუიტა კინოფილმიდან „ორი მეგობარი“. 17.20 —კონცერტი — „თქვენი თხოვნით, ბავშვებო!“, 18.05 — კონცერტი ცაკლიდან — „იცნობდეთ“, 18.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.15 — კონცერტი — „მამათ საღამოს“, 19.45— გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ცხოვრების დიდ გზაზე“, 20.20 — ქართული საოპერო მუსიკა, 21.05 — ლიტერატურული გადაცემა. გ. რჩეულიშვილის მოთხრობები, 21.35 — კონცერტი — „ბედნიერებისა და გაზაფხულის წლები“, 22.20 — კონცერტი — „მღერიან ჩვენი მეგობრები“.

31 აგვისტო

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო) — შესანიშნავი შვიდეული, **ამირანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **ამირანი** (საზაფხულო), **ნაკადული, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — შვიდ ქარზე.

კინო

„დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პროსპ. № 2)

2 სექტემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი)

(ძირითადი შემადგენლობა)

დასაწყისი 17 ს. და 45 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა წარმოებს „დინამოს“ სტადიონის სალაროებში. აბონემენტებით 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს დღის 12 საათიდან, საერთო — 1 სექტემბერს დღის 10 საათიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ᲣᲒ 04179

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.